საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8990/01
21/09/2020

8990-01-2-202009211402

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 31 აგვისტოს N13788 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე 108 977 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადების შესწავლისა და კოორდინატების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ტერიტორია იდენტურია თქვენ მიერ 2019 წლის 24 იანვარს (N22/29) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე 112 500 ტონა თიხა-თაბაშირის მოპოვების სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ტერიტორიის, რაზეც სამინისტრომ 2019 წლის 5 მარტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-210 ბრძანებით მიიღო სკრინინგის გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044